ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) *2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება (დიდი პალატა), Gorka Salaberria Sorondo v Academia Vasca de Policía y Emergencias, C-258/15, ECLI:EU:C:2016:873.*

მოკლე მიმოხილვა:

ბასკეთის ავტონომიურ თემში პოლიციის ოფიცრის პოზიციაზე დასაქმებისთვის დაიშვებოდნენ მხოლოდ 36 წლამდე ასაკის კანდიდატები. მოსარჩელე, რომელმაც ასაკობრივი შეზღუდვის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა გამოცხადებულ კონკურში, ამტკიცებდა, რომ აღნიშნული მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის დირექტივას 2000/78/EC, რომელიც თავის მხრივ, კრძალავს ასაკის საფუძველზე დისკრიმინაციას დასაქმებისას. მოსარჩელის შეფასებით, ასაკობრივი ზღვარი ვერ აკმაყოფილებდა გონივრულობისა და აუცილებლობის კრიტერიუმებს და უსაფუძვლოდ ზღუდავდა საჯარო სამსახურზე წვდომის უფლებას.

საქმის განმხილველმა ეროვნულმა სასამართლომ მიუთითა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებაზე - Wolf *(2010 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება, Wolf, C-229/08)*, რომლის მიხედვითაც, სახანძრო სამსახურში დასაქმების მსურველთათვის ასაკობრივი ზღვარის (30 წელი) დაწესება გამართლებული იყო. აღნიშნული გამომდინარეობდა ამ პროფესიისთვის აუცილებელი მაღალი ფიზიკური მომზადების საჭიროებიდან. ეროვნულმა სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შეკითხვით, შეესაბამებოდა თუ არა ბასკეთის ავტონომიური თემის პოლიციის ოფიცრის თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატთა შერჩევის პროცესში მონაწილეობის წინაპირობად 35-წლიანი მაქსიმალური ასაკის დადგენა საბჭოს დირექტივის 2000/78 მე-2(2), მე-4(1) და მე-6(1)(c) მუხლების მოთხოვნებს.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებით, დირექტივის 2000/78/EC აღნიშნული ნორმების მოთხოვნები არ გამორიცხავს ისეთი ეროვნული წესის არსებობას, რომელიც ბასკეთის ავტონომიური თემის პოლიციაში ოფიცრის პოზიციაზე დასანიშნად აწესებს 35-წლიან მაქსიმალურ ასაკობრივ ზღვარს, რადგან აღნიშნული სამსახურის თავისებურებები მოითხოვს ფიზიკურ შესაძლებლობებზე დაფუძნებულ პროფესიულ მომზადებას. სასამართლოს შეფასებით, პოლიციის ოპერატიული ფუნქციების შესრულება დაკავშირებულია მაღალი ფიზიკური მომზადების აუცილებლობასთან და აღნიშნული წარმოადგენს ნამდვილ და განმსაზღვრელ პროფესიულ მოთხოვნას. შესაბამისად, ასაკობრივი ზღვარი შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურ და პროპორციულ ზომად, თუ ეროვნული სასამართლო დარწმუნდება, რომ პოლიციის ოპერატიული შესაძლებლობების შენარჩუნება რეალურად მოითხოვს ასეთ შეზღუდვას და ის აკმაყოფილებს აუცილებლობის კრიტერიუმს.

მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:

28 დირექტივის 2000/78 მე-2(1) მუხლის თანახმად, „თანაბარი მოპყრობის პრინციპი“ ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს არანაირი პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაცია ამ დირექტივის პირველ მუხლში მითითებული არცერთი საფუძვლით. ამ დირექტივის მე-2(2)(a) მუხლის თანახმად, მისი მე-2(1) მუხლის მიზნებისათვის, პირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც პირს, ამ დირექტივის პირველ მუხლში მითითებული ნებისმიერი საფუძვლით, ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში აყენებენ, ვიდრე მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა პირს.

[...]

32 კერძოდ, დირექტივის 2000/78 მე-4(1) მუხლი ადგენს, რომ „[ამ დირექტივის] პირველ მუხლში მითითებულ რომელიმე საფუძველთან დაკავშირებულ მახასიათებელზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობა არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, როდესაც კონკრეტული პროფესიული საქმიანობის ხასიათიდან ან მისი განხორციელების კონტექსტიდან გამომდინარე, ასეთი მახასიათებელი წარმოადგენს ნამდვილ და განმსაზღვრელ პროფესიულ მოთხოვნას, იმ პირობით, რომ მიზანი ლეგიტიმურია, ხოლო მოთხოვნა – პროპორციული.“

33 ამ დებულებიდან ცხადია, რომ არა განსხვავებული მოპყრობის საფუძველი, არამედ ამ საფუძველთან დაკავშირებული მახასიათებელი უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ და განმსაზღვრელ პროფესიულ მოთხოვნას *(2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, ვიტალ პერესი, C-416/13, EU:C:2014:2371, პუნქტი 36 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).*

34 განსაკუთრებული ფიზიკური შესაძლებლობების ქონა ასაკთან დაკავშირებული ერთ-ერთი მახასიათებელია, ხოლო ადამიანებისა და ქონების დაცვასთან, დამნაშავეების დაკავებასა და დაცვასთან, ასევე პრევენციულ პატრულირებასთან დაკავშირებული მოვალეობები შეიძლება ფიზიკური ძალის გამოყენებას მოითხოვდეს *(2010 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება, Wolf, C-229/08, EU:C:2010:3, პუნქტი 41; 2011 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება, Prigge and Others, C-447/09, EU:C:2011:573, პუნქტი 67,* და *2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, Vital Pérez, C-416/13, EU:C:2014:2371, პუნქტები 37 და 39 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).*

35 ამ მოვალეობების ხასიათი მოითხოვს ფიზიკური შესაძლებლობების გარკვეულ დონეს, რამდენადაც ამ მოვალეობების შესრულებისას ფიზიკურ შეუსაბამობებს შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს არა მხოლოდ თავად პოლიციელებისა და მესამე პირებისთვის, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვისაც *(2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, ვიტალ პერესი, C-416/13, EU:C:2014:2371, პუნქტი 40).*

36 აქედან გამომდინარეობს, რომ ბასკეთის ავტონომიური თემის პოლიციის სამი ძირითადი მოვალეობის შესასრულებლად, […], კერძოდ, ადამიანებისა და ქონების დაცვის, თითოეული პირის უფლებებისა და თავისუფლებების თავისუფლად განხორციელებისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გარკვეული ფიზიკური შესაძლებლობების ქონა შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ და განმსაზღვრელ პროფესიულ მოთხოვნად, დირექტივის 2000/78 მე-4(1) მუხლის მნიშვნელობით […].

37 ესპანეთის მთავრობა აცხადებს, რომ […] პოლიციის ძალებში მიღებისთვის 35-წლიანი ზედა ასაკობრივი ზღვრის დაწესების მიზანია ამ პოლიციის სამსახურის ოპერატიული შესაძლებლობების შენარჩუნება და მისი სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, იმის გათვალისწინებით, რომ ახლად დაქირავებულ თანამშრომლებს შეეძლოთ ფიზიკურად ყველაზე რთული დავალებების შესრულება მათი კარიერის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

[…]

39 […] სასამართლომ *Vital Pérez*-ის საქმის 57-ე პუნქტში დაასკვნა, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ, რომელმაც […] ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლების დაქირავებისას 30-წლიანი ზედა ასაკობრივი ზღვარი დაადგინა, 2000/78 დირექტივის მე-4(1) მუხლის საწინააღმდეგო არაპროპორციული მოთხოვნა დააწესა.

40 თუმცა, ავტონომიური თემების პოლიციის ძალების მიერ შესასრულებელი მოვალეობები განსხვავდება ადგილობრივი პოლიციის მოვალეობებისგან. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა განხილვის საგანს *Vital Pérez*-ის საქმეში […] *(2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, Vital Pérez C-416/13, EU:C:2014:2371).* შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლები […] პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელისუფლებისა და მათი შენობების დაცვის უზრუნველყოფაზე, ქალაქის ცენტრში ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლსა და მართვაზე, საგზაო ნიშნების განთავსებასა და ადმინისტრაციული საპოლიციო ამოცანების შესრულებაზე. მიუხედავად ამისა, […] ბასკეთის ავტონომიური თემის პოლიციის „ძირითადი მისიაა […] ადამიანებისა

და ქონების დაცვა, პირთა მიერ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების თავისუფლად განხორციელება და მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ავტონომიური თემის მთელ ტერიტორიაზე“.

41 როგორც [...] სასამართლოში გამართულ სხდომაზე ითქვა, ბასკეთის ავტონომიური თემის ყველაზე დაბალი წოდების მქონე პოლიციელი, რომლის პოზიციისთვისაც გამოცხადებულ კონკურსს ეხება მთავარი საქმისწარმოება, ასრულებს არა ადმინისტრაციულ, არამედ არსებითად ოპერატიულ მოვალეობებს, რაც [...] შეიძლება გულისხმობდეს ფიზიკური ძალის გამოყენებას და დავალებების შესრულებას ისეთ პირობებში, როდესაც მოქმედების განხორციელება რთული ან, უფრო მეტიც, უკიდურესად რთულია.

[...]

46 [სხდომაზე] ასევე აღინიშნა, რომ [...] პოლიციელის დაქირავების ასაკი განსაზღვრავს იმ დროის ხანგრძლივობას, რომლის განმავლობაშიც მას შეუძლია ასეთი დავალებების შესრულება. 34 წლის ასაკში დაქირავებული პოლიციელი, რომელმაც სწავლება უნდა გაიაროს დაახლოებით ორი წლის განმავლობაში, ამ დავალებების შესრულებისთვის შესაფერისი იქნება მაქსიმუმ 19 წლის განმავლობაში, ანუ 55 წლის ასაკამდე. ამ შემთხვევაში, უფრო მაღალ ასაკში დაქირავება საფრთხეს შეუქმნიდა ფიზიკურად ყველაზე რთული დავალებების შესასრულებლად საკმარისი რაოდენობის ოფიცრების დანიშვნის შესაძლებლობას. ანალოგიურად, ასეთი დაქირავება ნიშნავს, რომ ასეთი სახით დაქირავებული ოფიცრები ამ დავალებების შესრულებას ვერ შეძლებდნენ საკმარისად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. და ბოლოს, როგორც [სხდომაზე] აღინიშნა, ბასკეთის ავტონომიური თემის პოლიციის სამსახურის რაციონალური მოწყობა მოითხოვს წონასწორობის მიღწევას ფიზიკურად მომთხოვნი პოზიციების, რომლებიც არ არის შესაფერისი უფრო მაღალი ასაკის პოლიციელებისთვის, და ფიზიკურად ნაკლებად მომთხოვნი პოზიციების რაოდენობებს შორის, რომელთა დაკავებაც შეუძლიათ უფრო მაღალი ასაკის პოლიციელებს *(იხ. ანალოგიით, 2010 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება, Wolf, C-229/08, EU:C:2010:3, პუნქტი 43)*.

[...]

48 აქედან გამომდინარეობს, რომ [...] პოლიციის თანამშრომლების პოზიციებზე კანდიდატების 35 წელზე ნაკლები ასაკობრივი ზღვარი, პირველი, შეესაბამება პოლიციის სამსახურის ოპერატიული შესაძლებლობებისა და სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზანს და, მეორე, არ სცილდება ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ ფარგლებს, იმ პირობით, რომ საქმის განმხილველი სასამართლო დარწმუნდება [...] მისთვის წარდგენილი და ზემოთ აღწერილი დასკვნებიდან და დოკუმენტებიდან მიღებული ინფორმაციის სიზუსტეში.

[...]

50 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, [...] დირექტივის 2000/78 მე-2(2) მუხლი, ამ დირექტივის მე-4(1) მუხლთან ერთად, უნდა განიმარტოს ისე, რომ არ უნდა გამოირიცხოს კანონმდებლობა, [...] რომელიც ადგენს, რომ პოლიციის თანამშრომლების პოზიციებზე დასაქირავებელი კანდიდატები, რომლებმაც უნდა შეასრულონ პოლიციელებზე დაკისრებული ყველა ოპერატიული მოვალეობა, უნდა იყვნენ 35 წლამდე ასაკის.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXX

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივა 2000/78/EC, რომელიც დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის საკითხებთან მიმართებით აყალიბებს თანაბარი მოპყრობის ზოგად სტრუქტურას
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2000/78 მე-2(2) და მე-4(1) მუხლები
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-4 მუხლის 1-3 პუნქტები და მე-6 მუხლი *(სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.016012; 16/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით**
ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართალი	*2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება (დიდი პალატა), Gorka Salaberria Sorondo v Academia Vasca de Policía y Emergencias, C-258/15, ECLI:EU:C:2016:873.*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.